ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №3 (ამონაწერი)

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი, 2013 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **დავით მამისეიშვილი;**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ხვიჩა კიკილაშვილი** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ეკატერინე ჯინჭველაშვილი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ვიოლეტა ფორჩხიძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

თეონა ჭუმბურიძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ფიზიკური პირი, ადვოკატი.

ადამ მახარაძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

თეონა ჭუმბურიძე - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი : ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში და მანდატური) ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს დავით მამისეიშვილის ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2013 წლის 14 ნოემბერს ,,საჯარო სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატში, შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	**საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**	
	სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	1
2	**მანდატურის სამსახური**	
	მანდატური	1

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება

და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად წარედგინა შემდეგი კანდიდატები:

I. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სპეციალისტის (სამეურნეო საკითხებში) ვაკანსიაზე:

მურმან სურმანიძე

II. სასამართლოს აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურის ვაკანსიაზე:

ამირან აბაშიძე;

რეზერვში ჩარიცხვაზე რეკომენდაცია მიეცათ შემდეგ კანდიდატებს:

1. სალომე ორაგველიძე (მანდატური);
2. ნანა ცხომარია (მანდატური);
3. დონარა წუზბა (მანდატური).

კომისიის თავმჯდომარე

დავით მამისეიშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ხვიჩა კიკილაშვილი -

კომისიის წევრი

ეკატერინე ჯინჭველაშვილი -

კომისიის წევრი

ვიოლეტა ფორჩხიძე -

კომისიის წევრი

ადამ მახარაძე -

კომისიის წევრი

თეონა ჭუმბურიძე -